სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 1 მარტი, 2017 წ.

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ამ ხნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პრომეთესი,
წინსვლა ადამიანისა თურმ სიფცქვად ამ მიაჩნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შეძლება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საანგარიშო კრება

2017 წლის 24 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საანგარიშო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2016 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2017 წლის ამოცანების შესახებ;*
   მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.
2. *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2016 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2017 წლის ამოცანების შესახებ;*
   მომხსენებლები: სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნები: აკად. გ. მარგველაშვილი, აკად. ჯ. გუგუშვილი, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ზ.ცქიტიშვილი, აკად. ნ. ბაღათურია, აკად. რ.ჩაგელიშვილი, აკად. ო. ქეშელაშვილი.
3. *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების შესახებ.*
   მომხსენებელი: აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;
4. *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსის აგრარულ სფეროში 2016 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომებისათვის პრემიების მინიჭების შესახებ.*
   მომხსენებლები: აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.
5. *მიმდინარე საკითხები.*

აკადემიის წლიურ საანგარიშო კრებას აკადემიის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრებიც: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი და აკად. ბ. კორახაშვილი, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატები გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეპარტამენტების უფროსები აკად. გ. ტყემალაძე და პროფ. ი.ყრუაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩევლები აკად. თ. კუნჭულია და ო.კაჭარავა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი პროფ. ლ. უჯმაჯურიძე და დირექტორის მოადგილე ნ.ხატიაშვილი, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. მესხიძე, აჭარის აგროსერვისის ცენტრის დირექტორი გ. ბერიძე და დირექტორის მოადგილე ი. აბულაძე, ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. რ. კოპალიანი და პროფ. თ. ღვინიანიძე, გორის სუხიშვილის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ვ. სუხიშვილი, შპს „ლომთაგორას“ გენერალური დირექტორი კ.ლაშხი, შპს „მარცვალის“ დირექტორი პროფ. ი. ზედგენიძე, შპს „ლაშარელას„ დირექტორი ზ. ლაშხი, აკადემიის დარგობრივი ეროვნული კოორდინატორები და მათი ჯგუფების წევრები, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ-მუშაკები, აკადემიის აპარატის თანამშრომლები.

წლიურ საანგარიშო კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ. კრების მონაწილეებს მიესალმნენ ბატონები გ. თოფაძე და ზ. ტყემალაძე.

კრების დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნები აკად. გ. მარგველაშვილი, აკად. ჯ. გუგუშვილი, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ზ.ცქიტიშვილი, აკად. ნ.ბაღათურია, აკად. რ. ჩაგელიშვილი, აკად. ო. ქეშელაშვილი.

ძირითადი მოხსენებების შემდეგ საინტერესო და კვალიფიციური გამოსვლები ჰქონდათ აკად. ნ. ჭითანავას, აკად. პ. კოღუაშვილს, ნ.ხატიაშვილს, კ. ლაშხს, ი. ზედგენიძეს.

დღის წესრიგის ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილებები. აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკად. გ. ჯაფარიძემ კრებას მოახსენა აკადემიაში ჩამოყალიბებული სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების შესახებ, აღინიშნა განყოფილების ძირითადი მიზნები და მისი როლი ქვეყნის სატყეო მეუნეობის განვითარების საქმეში. კრებამ სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნად დაამტკიცა აკად. რევაზ ჩაგელიშვილი.

აკადემიის წლიურ საანგარიშო კრებაზე აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ დიპლომები გადასცა აგრარულ სფეროში 2016 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომების ავტორებს - აკად. რ.მახარობლიძეს, აკადემიის წ/კ გ.ნიკოლეიშვილს, აკად. ე.შაფაქიძეს, აკად. ჯ.გუგუშვილს, პროფ. გ.გოგოლს, დოქტორ ზ.ლაშხს, პროფ. ც.სამადაშვილს.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2016 წელს გაწეული მუშაობისა და 2017 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

2017 წლის 27 იანვარს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნების მოხსენებები 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი

განყოფილებაში 2016 წელს ჩატარდა 10 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 21 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 12 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორები. 2. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 18 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 22 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. სუბტროპიკული მეურნეობის ძირითადი პრიორიტეტები; მომხსენებელი: აკ. წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ კოპალიანი; 2. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 20 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 21 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია მრავალწლიანი კულტურების ჯიშთა გამოცდის სამსახურის აღდგენის აუცილებლობის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი; 2. აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. აკადემიკოს რევაზ ჯაბნიძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული მუშაობის შეასახებ.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 15 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. კლიმატის ცვლილებით განპირობებული გვალვებისა და გაუდაბნოების პროცესების მონიტორინგის შესახებ. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი თამაზ თურმანიძე.

მერვე სხდომა ჩატარდა 12 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ქვეყანაში ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეების არსებული მდგომარეობისა და განვითარების ღონისძიებების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი; 2. მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 21 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. სასუქების როლი ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებაში. მომხსენებელი: აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

მეათე გაფართოებული სხდომა ჩატარდა 5 დეკემბერს და მიეძღვნა ნიადაგის მსოფლიო დღეს. განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. პლანეტის ჩუმი კრიზისი სასურსათო კრიზისის საფრთხე. მომხსენებელი: აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; 2. ნიადაგი და ცხოველთა ჯანმრთელობა. მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; 3. თვლიანი ტრაქტორის დინამიკის აქტუალური საკითხები ნიადაგის რევოლოგიური თვისებების გათვალისწინებით. მომხსენებელი:

აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; 4. ციტრუსოვანთა პლანტაციების ბიოპროდუქტიულობის აღდგენის ზოგიერთი საკითხი. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ბუკია; 5. საქართველოს ტყის ყომრალი ნიადაგები; მომხსენებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი გაგოშიძე.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: მრგვალი მაგიდა „მეჩაიეობის დარგის განვითარების პროგრამის განხორციელების შესახებ.“ (ანასეული).

მრგვალი მაგიდა „ორგანული წარმოების პერსპექტივები სუბტროპიკულ მემცენარეობაში.“ (ანასეული).

კონფერენცია მიძღვნილი „ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღისადმი.“

მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების ანგარიში.

აკადემიკოს მდივანი ჯემალ გუგუშვილი

მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილებაში 2016 წელს ჩატარდა 11 სხდომა, აგრეთვე მრგვალი მაგიდა „ვეტერინარიის დარგში არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ”, მრგვალი მაგიდა „ცხოველთა სასმელი წყლის კონტროლის მეთოდები”, ერთობლივი სემინარი აგროსაინჟინრო და ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებებთან „მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია, კოოპერირება და ნედლეულის წარმოება,“ გასვლითი სემინარი „მსხვილი რქოსანი პირუტყვის სასაკლაოების არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“(მარნეულის მრპ სასაკლაო), შ.პ.ს. „ლაშარელა“, ფირმა „ლომთაგორა“, კუმისის მეფრინველეობის კომპლექსი, გასვლითი სემინარი „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხორცის, რძის, ტყავისა და ბეწვის გაუმჯობესების გზები“ ა(ა)იპ ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრი.

პირველი სხდომა ჩატარდა 27 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1.აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ჯემალ გუგუშვილი; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

შემდეგი სხდომა ჩატარდა 18 თებერვალს, რომელიც მიეძღვნა 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2016 წლის ამოცანების განხილვას. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორები. 2. ღორის გრიპის ვირუსი - ეტიოლოგია, პათოგენეზი. მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

ღორის გრიპი მწვავედ მიმდინარე კონტაგიოზური ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ციებ-ცხელებით, სასუნთქი გზების, თვალის ლორწოვანი გარსების კატარალური ანთებით და ფილტვების დაზიანებით. ავთვისებიანი ფორმის დროს სიკვდილიანობა 60-100%-ია. გრიპით ავადდება ყველა ასაკის და ჯიშის ღორი, ასევე ადამიანი და ფრინველი. მკურნალობის სპეციფიკური საშუალებები არ არის შემუშავებული. მეორადი ბაქტერიული მიკროფლორის ჩახშობის მიზნით იყენებენ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს და სულფანილამიდებს. 3. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

განყოფილების მესამე სხდომა ჩატარდა 24 მარტს 1. მსოფლიოში გავრცელებული საქართველოსათვის საშიში ცხოველთა ინფექციური დაავადებების შესახებ. მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა;

დასუსტებული სავეტერინარო სამსახური სრულად ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, რის გამოც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი იქნა 7 საშიში ინფექციური დაავადება, როგორიცაა: ღორის აფრიკული ცხელება, ფრინველის გრიპი, ცხვრის ჩლიქების ანაერობული სიდამპლე, ბოცვრების ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემია, წიწილების ვირუსული ანემია, ნოდულარული დერმატიტი, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (ცხვარი, თხა) ჭირი. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პრიონებზე, როგორც უმძიმესი და უკურნებელი სნეულების გამომწვევებზე, რომლებიც სწრაფად ვრცელდება და ადამიანებისა და ცხოველების სიკვდილის მიზეზი ხდება. საშიშ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება ასევე ცხვრის კატარალური ცხელება. საშიში დაავადებაა ასევე – შმალენბერგის დაავადება. საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოჰყავთ დიდი რაოდენობით ჯიშიანი პირუტყვი. იმისათვის, რომ ქვეყანაში არ მოხდეს ვირუსმატარებელი ცხოველები, უნდა გამკაცრდეს

კონტროლი საზღვარზე და კარგად იქნეს გაანალიზებული ცხოველის წარმოშობის ადგილის ეპიზოოტიური სიტუაცია.

2. საქართველოში სანაშენე მეფრინველეობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ასეთი მოხსენებით გამოვიდა სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი; დღეისათვის საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა სიმძლავრის მეკვერცხული მიმართულების 18-მდე ფერმერული მეურნეობა, სადაც ფრინველის სულადობა 2 მილიონამდე ფრთას შეადგენს.ქვეყანაში მეფრინველეობის დარგის განვითარებისათვის საჭიროა: ხელი შეეწყოს მეკვერცხული მიმართულების II რიგის სანაშენე რეპროდუქტორის შექმნას; ბროილერის საინკუბაციო კვერცხის წარმოების მიზნით მოხდეს მეხორცული მიმართულების II რიგის სანაშენე რეპროდუქტორების ქსელის გაფართოება; ადგილობრივი ქათმის მოშენება წარიმართოს განცალკავებულად, პოპულაციების დამახასიათებელი ნიშანთვისების გათვალისწინებით; სანაშენე ფრინველის მოშენებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას სრულფასოვანი კვების, მოვლა -შენახვის და ვეტერინარული მომსახურების ღონისძიებები.

3. აკადემიკოს გურამ ტყემელაძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

25 აპრილს განყოფილებაში ჩატარდა მეოთხე სხდომა 1. ბუნებრივი მდელოს გაუმჯობესების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. მომხსენებელი გახლდათ: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ სარჯველაძე. სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების ერთერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმადგენს სათიბისა და საძოვრის მონაცვლეობა; საქონლის ნაკვეთმორიგეობითი ძოვება; ძოვების შემდგომ დარჩენილი ბალახების წათიბვა და ნაკელის გაფანტვა. ასევე ძოვების ჯერადობის დაცვა, დეგრადირებული საძოვრების შესვენება - ბალახების თესლის თვითჩათესვა, ველურად-მზარდი ბალახების თესლის შეგროვება და შეთესვა, ძიგვიანის გაუმჯობესება.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 23 მაისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეცხოველეობაში ჰეტეროზისის მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელი: მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჰეტეროზისთან დაკავშირებით წარმოებულ ყველა კვლევაში შეიმჩნევა ერთი და იგივე მიზანი, რაც შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ჰეტეროზისი, როგორც სას. სამ. ცხოველების პროდუქტიულობის გაზრდის ერთ-ერთი თანამედროვე და სწრაფი მეთოდი.

ქართული სახორცე-საქურქე ჯიშის ბოცვერის შექმნის დროსაც, რომელიც გამოყვანილი იქნა 4 ჯიშის მონაწილეობით ზოოვეტერინარულ უნივერსიტეტში, უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ჰეტეროზისის ეფექტს; და მეორე საკითხი.

2. კოლხური ხოხობი და მისი მნიშვნელობა საქართველოს ბიომრავალფეროვნებისათვის. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი. კოლხური ხოხობი, საქართველოს ფაუნის უმშვენიერესი წარმომადგენელი, ჩვენი ქვეყნიდან არგონავტებმა გაიყვანეს და მთელს მსოფლიოში საბერძნეთიდან გავრცელდა. ამჟამად ჰაბიტატების რღვევისა და ინტენსიური ნადირობის გამო მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. აქედან გამომდინარე საქართველოში კოლხური ხოხბის ხალასად მოშენებისა და შენარჩუნების მიზნით საჭიროა ამ ფრინველის სანაშენეების ჩამოყალიბება. 2015 წელს განხორციელებული ექსპედიციური კვლევის შედეგად მოძიებული იქნა კოლხური ხოხბის სანაშენეების რამდენიმე კერა. მათ შორის დედოფლისწყაროში, ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების ასოციაციის ხოხბის საშენი, (2015 წლის 22 სექტემბერს ხოხბის აღდგენის პროექტის პრეზენტაციის შემდეგ ბუნებაში გაშვებული იყო დანომრილი 5 წყვილი დედალ-მამალი ხოხობი), დმანისში (განთიადი) კერძო პირის თემურ ციხელაშვილის სახოხბე, სოფელ დიღომში კერძო პირის ნუკრი რაზმაძის სახოხბე, სადაც შესწავლილი იყო კვერცხის ფიზიკური მაჩვენებლები, ლაპების ცოცხალი მასის დინამიკა 16 კვირის ასაკამდე. მუხრანის საცდელ-სადემონსტრაციო კომპლექსისათვის დაპროექტდა თანამედროვე სახოხბე, სადაც განთავსდება 50 ფრთამდე ხოხობი, რომელზეც გაგრძელდება სასელექციო მუშაობა.

29 ივნისს ჩატარდა მეექვსე სხდომა, თემა გახლდათ 1.ეპიზოოტური პროცესი და მისი მართვის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

ეპიზოოტია ცხოველებში, მეტად საშიშია ადამიანისათვის და დიდი ეკონომიკური ზარალიც მოაქვს. ზარალის სიდიდე დამოკიდებულია ეპიზოოტიური პროცესის მიმდინარეობის ხანგრძლივობაზე. ეპიზოოტიურ პროცესში განასხვავებენ სამ ურთიერთდაკავშირებულ ძირითად რგოლს (ჯაჭვს), ესენია: 1) დაავადების აღმძვრელის წყარო; 2) დაავადების აღმძვრელის გადაცემის გზები (მექანიზმი); და 3) ამთვისებელი ორგანიზმი.

ეპიზოოტიური პროცესის შეჩერება შეიძლება მხოლოდ ამ ჯაჭვის გაწყვეტით რომელიმე რგოლში. დღეს ქვეყანაში ეპიზოოტიებთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებები მიმართულია ამთვისებელი ორგანიზმის დაავადებები-

სადმი რეზისტენტობის გაზრდაზე, რის გამოც მუდმივად ტარდება ცხოველთა ვაქცინაცია მრავალი დაავადების საწინააღმდეგოდ. ეს რთული საქმეა, რადგან ვაქცინაციები, რომლებიც ტარდება ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე, თანდათან იზრდება და მოითხოვს დიდ დროს და ადამიანების (სპეციალისტების) რესურსს, რაც ყოველწლიურად მზარდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

19 ივლისს ჩატარდა მეშვიდე სხდომა, განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეცხოველეობაში პროდუქტიულობის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიული გოგოლი;

ცხოველთა პროდუქტიულობას განსაზღვრავს 2 ფაქტორი, ესაა გენოტიპი და გარემო. გარემო ფაქტორებიდან მეტად მნიშვნელოვანია კლიმატური, ტექნოლოგიური, ბიოლოგიური და სოციალური. აღნიშნული ფაქტორები მოქმედებენ რა ცხოველის კანზე, სასუნთქ გზებზე, საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, ლორწოვან გარსზე, ჰიპოთალამუსზე, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზეგავლენას ახდენენ ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. კერძოდ იცვლება სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნაყოფიერება, სარძეო პროდუქტიულობა, ზრდა-განვითარება. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ცხოველის პროდუქტიულობის გაუმჯობესება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც დაცულია თითოეულ ფაქტორზე ცხოველის ფიზიოლოგიური მოთხოვნილება.

2. ზამთრის საძოვრების გამოყენება და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. მოხსენება გააკეთა: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა იოსებ სარჯველაძემ.

საქართველოს ბუნებრივ საძოვრებს სას. სამ. სავარგულების 60%-ზე მეტი, ხოლო სათიბებს 5%-ზე მეტი უჭირავს. ზამთრის საძოვრების მწარმოებლობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მათი რაციონალური დატვირთვა პირუტყვით და ძოვების ვადების დაცვა. ზამთრის საძოვრებზე ძოვების ხანგრძლივობა 60-65 დღით უნდა შემცირდეს. ბალახების ვეგეტაცია ზამთრის საძოვრებზე მთავრდება ნოემბრის ბოლოს, რის შემდეგაც იწყება ბალახის ინტენსიური ხმობა, ამიტომ საჭიროა საძოვრული საკვების მარაგის დროულად და სრულად გამოყენება. უნდა მოხდეს საძოვრების წყლით უზრუნველყოფა, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა. საჭიროა საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებების ჩატარება. მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება, მორიგეობითი ძოვების შემოღება, საძოვრის მცენარეულობის ხანგრძლივი შენარჩუნება.

მერვე სხდომა ჩატარდა 13 სექტემბერს. იგი მიეძღვნა 1. საქართველოს მეფუტკრეობის პრობლემებსა და პერსპექტივებს. მომხსენებელი: ბიოლოგიის დოქტორი ბორის წითლიძე;

საქართველოში მეფუტკრეობის დარგის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა და წარმოადგენს ქართული ფუტკრის ხალასი სახით შენარჩუნება. ამჟამად თაფლსა და ცვილთან ერთად უდიდესი ყურადღება ეთმობა ყვავილის მტვერის, დინდგელის, ფუტკრის რძისა და შხამის წარმოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია საჯიშე საფუტკრეებისა და რეპროდუქტორების შექმნა, ფუტკრის პროდუქტების წარმოების უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, თაფლის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და ფუტკრის დაავადებების ახალი უსაფრთხო პრეპარატებით მკურნალობა.

2. სელექციის მნიშვნელობა ღორის ხორცის წარმოების გაუმჯობესების საქმეში. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ბოჭორიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ სწორად წარმართული სელექციური მუშაობა ღორის ხორცის წარმოების გაზრდის საწინდარია. ღორის მემკვიდრეობის შესწავლამ უდიდესი როლი ითამაშა სასელექციო პროგრამის შედგენაში. სელექციის ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნიშან-თვისებათა მემკვიდრულობის კოეფიციენტი, სასელექციო დიფერენციალი და თაობათა სწრაფი ცვლა, ასევე ნიშან-თვისებათა შორის კორელაციური კავშირის გათვალისწინება.

3. მომხსენებელი: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორმა მაია კერესელიძემ გააკეთა საინტერესო მოხსენება მეცხოველეობის დარგში ვეტერინარული მომსახურეობის არსებული მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში საგრძნობლად გაუარესდა ეპიზოოტიური სიტუაცია სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მიმართ, როგორიცაა ბრუცელიოზი, ტუბერკულოზი, ციმბირული წყლული, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკაში ლეიკოზის პრობლემა, რასაც შემდგომში შეიძლება უარესად უარყოფითი შედეგი მოჰყვეს. ძალზე ცუდ მდგომარეობაშია მეღორეობის დარგი, სადაც ხშირია ვირუსული გასტროენტერიტი, დიზენტერია, კოლიბაქტერიოზი, პასტერელოზი, წითელი ქარი, ღორის ჭირი, რომელსაც უკანასკნელ წლებში დაემატა აფრიკული ცხე-

ლება და ღორის გრიპი. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა საველტერინარო და სამედიცინო სამსახურების კოორდინირებული მოქმედება. აუცილებელია დაავადებული ცხოველებიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმების სახეობრივი იდენტურობის დადგენა და მათი მგრძნობელობის შესწავლა ანტიბიოტიკების, სულფანილამიდების, ბაქტერიოფაგებისა და პრობიოტიკების მიმართ. ასევე პროფილაქტიკის მიზნით საკარმიდამო და ფერმერულ მეურნეობებში გამოყენებული იქნას სადეზინფექციო საშუალებები.

განყოფილების მეცხრე სხდომა ჩავატარეთ გასული წლის 19 ოქტომბერს და განხილული იქნა საინტერესო საკითხი: 1. ჯავახეთის წყალმცურავ-სამონადირეო ფრინველების მოშენების პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინა ბარვენაშვილი. წყალსატევთა სიუხვით გამორჩეულ ჯავახეთში სხვადასხვა სახეობის წყალმცურავი სამონადირეო-გადამფრენი ფრინველი გვხვდება. მათ შორისაა: რუხი იხვი, ჭიკვარა, მელოტა, კუდსადგისა, წითელთავა ყვინთია, გარეული იხვი და სხვა. მოშენების თვალსაზრისით საინტერესო ობიექტებს წარმოადგენენ რუხი ბატი და გარეული იხვი. სამონადირეო მეურნეობებში აღნიშნულ ფრინველების მოშენება ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, მეორეს მხრივ კი სამონადირეო ტურიზმის განვითარებას. გარდა ამისა ასეთი ტიპის მეურნეობებში წყალმცურავი ფრინვალების წარმატებით მოშენების შემთხვევაში მათი ხორცი გაჩნდება არამარტო რესტორნებსა და სასადილოებში, არამედ მაღაზიებშიც. გარეული წყალმცურავი ფრინველის ხორცი კი საგემოვნო-დიეტური და ხარისხობრივი თვისებებით ბევრად აღემატება შინაური წყალმცურავი ფრინველისას, რითაც უფრო მეტად აკმაყოფილებს ხორცის ხარისხზე თანამედროვე ადამიანის მიერ გამკაცრებულ მოთხოვნას.

21 ნოემბერს მეათე სხდომაზე მოსმენილი იქნა შემდეგი საკითხები: 1. ცხვრის იმპორტ-ექსპორტი საქართველოში და მისი მეხორცული თვისებების გაუმჯობესების გზები. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი გივი ბეღელური;

ქართული ცხვრის ძირითად ბაზარს მუსულმანური ქვეყნები წარმოადგენენ: აზერბაიჯანი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ერაყი, იორდანია, ირანი, ლიბანი, საუდის არაბეთი, ქუვეითი, ყატარი. ასევე ექსპორტი ხორციელდებოდა ისრაელში და სომხეთშიც. 2013 წლიდან შეიმჩნევა საექსპორტო ბაზრების არეალის შემცირება, რაც ძირითადად გამოწვეულია ორი მიზეზით:

1. ბაზარზე კონკურენტების მიერ ქართულ ცხვართან შედარებით დაბალი ფასების შეთავაზება იმპორტიორებისათვის. 2. ქართული ცხვარი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. 2014-15 წწ-ში მაინც გავიდა ცხვარი და საკმაოდ დიდი ოდენობით, რაც საქართველოში იმპორტირებული ცხვრის ხარჯზე მოხდა. მაგ. 2014 წ-ს 41648 სული ცხვარი სხვადასხვა შპს-ების მიერ შემოყვანილ იქნა სომხეთიდან და გავიდა საქართველოდან რეექსპორტზე როგორც ქართული ცხვარი. იმისათვის, რომ ქართულმა ცხვარმა საკადრისი კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების ცხვარს, საჭიროა ჩვენი ცხვრის ცოცხალი მასის გაზრდა, რაც რამოდენიმე ხერხითაა შესაძლებელი. მაგ. ნაიალაღარი ცხვრის 2 თვის განმავლობაში ინტენსიურ სუქებაზე დაყენებით; ან გარკვეული ჯიშის ვერძებთან სამრეწველო შეჯვარების გამოყენებით. საყურადღებოა, რომ იქ სადაც თუშური ცხვარი გვყავს საჭიროა მათი ხალასჯიშიანი მოშენება და მეხორცული პროდუქტიულობის გაუმჯობესება ინტენსიური საკვები ბაზის შექმნითა და იალაღობის შემდეგ ინტენსიურ სუქების დანერგვით, ხოლო გაურკვეველი წარმოშობის ნაჯვარ სულადობაზე აუცილებელია სამრეწველო შეჯვარების (მარტივი) ჩატარება ედილბაევური ვერძების გამოყენებით.

მეორე საკითხი გახლდათ 2. ადგილობრივი ქათმის მეხორცული პროდუქტიულობის გაუმჯობესების ღონისძიებები. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი კობა ნაცვალაძე.

ადგილობრივი ქათმები მეგრულა და ყელტიტველა კომბინირებული მიმართულების ფრინველებია. ადგილობრივი ქათმის მოზარდი დასაკლავ მასას აღწევს 4-5 თვის ასაკში. როგორც მოზარდის, ასევე ზრდასრული ფრინველისათვის დამახასიათებელია ხორცის მაღალი საგემოვნო თვისებები, რაც გამოწვეულია იმით, რომ ცხიმის დაგროვება ხდება არამარტო კანქვეშ და მუცლის ღრუში, არამედ კუნთებს შორის, რაც არ ახასიათებს სხვა კულტურულ ჯიშებს და კროსებს. ადგილობრივი ქათმის მეხორცული პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით ისინი შეუჯვარეს კორნიშის ჯიშის ქათმებს. მიღებული ქართული ბროილერი დასაკლავ მასას (1400-1600გ) აღწევს 55-60 დღის ასაკში. ადგილობრივ ქათამთან შედარებით ნაჯვარი ბროილერის ცოცხალი მასა გაიზარდა 50-60%-ით; ხორცში ბროილერებთან შედარებით 1,89%-ით შემცირდა ცხიმის შემცველობა; გაიზარდა ხორ-

ცში პროტეინის შემცველობა 0,9 %-ით; წიწილის შენარჩუნება გაიზარდა 5%-ით; ქართული ბროილერის გამოზრდა ადვილია ფერმერული (საკარმიდამო) მეურნეობების პირობებში.

მეთერთმეტე, ბოლო სხდომა ჩავატარეთ გასული წლის 14 დეკემბერს. მომხსენებელი: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ნათიძე, ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი ნინო მილაშვილი; საკითხი ეხებოდა პრიონულ დაავადებებს.

პრიონული დაავადებები ადამიანებისა და ცხოველების ლეტალური ნეიროდეგენერაციული პათოლოგიების ჯგუფია, რომლის გამომწვევია ექსტრემალური ფაქტორების ზემოქმედებისადმი ზედმიწევნით მდგრადი დაბალმოლეკულური ცილები პრიონები. პრიონული დაავადებები უნიკალური თავისებურებებით გამოირჩევიან, რაც ერთდროულად ინფექციური და გენეტიკური ხასიათის ბუნებაში აისახება. პრიონი სრულიად ახალი ტიპის ინფექციური აგენტია, რომელიც „პატრონი“ – ორგანიზმის კონფორმაციულად შეცვლილი ცილოვანი მოლეკულაა. მედიცინასა და ვეტერინარიაში პრიონული დაავადებების დიაგნოსტიკა განსაკუთრებულ პრობლემად რჩება. მედიცინაში პრიონული დაავადებების მკურნალობის საკითხი გადაუჭრელ პრობლემად რჩება, ვინაიდან არ მოიპოვება ისეთი პრეპარატები, რომლებიც შეაკავებდნენ პრიონული პათოლოგიების განვითარებას.

2. ინვაზიური დაავადებების ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვეტერინარიის დოქტორმა შადიმან ფოცხვერიამ. ცხოველთა ინვაზიური დაავადებები იწვევს უდიდეს ეკონომიკურ ზარალს, ასევე მეცხოველეობის პროდუქციის დაკნინებას. კერძოდ ამ დროს ხდება: მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ცხოველისა და ფრინველის პროდუქტიულობის შემცირება; პროდუქციის ხარისხის გაუარესება; მოზარდეულის ზრდა-განვითარების შეფერხება; ცხოველის გამოზრდისა და სუქების პერიოდის გახანგრძლივება; ერთეული პროდუქციის წარმოებაზე საკვების გადახარჯვა; კონკრეტული ჯიშისათვის დამახასიათებელი სანაშენე თვისებების დაკნინება; ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითება და ინფექციურ დაავადებათა რისკის ზრდა; ცხოველისა და ფრინველის დახოცვა ან იძულებითი დაკვლა; მათ მიერ ადამიანის დასნებოვნების მაღალი რისკი. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: ინვაზიური აღმძვრელებით დასნებოვნებისა და გაწყდომის აღრიცხვის მოწესრიგება; ინვაზიურ დაავადებათა პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებათა პროგრამების შემუშავება, ორგანიზება და განხორციელება; კანონმდებლობით გათვალისწინებული პირუტყვის დაკვლაზე ზედამხედველობის, ნაკლავის ვეტსანიტარული ექსპერტიზისა და დაკვლის კონფისკატების გაუვნებლობის მოთხოვნათა განუხრელად დაცვა; ქვეყნის საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება ეპიზოოტიური უსაფრთხოებისა და ეგზოტიკური დაავადების შემოტანის აღკვეთის უზრუნველსაყოფად. ინვაზიურ დაავადებათა პრობლემის გათვალისწინებით სავეტერინარო პოსტდიპლომური განათლების ხელშეწყობა; საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან ინტერაქტიული რეჟიმის უზრუნველყოფა.

აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში 2016 წელსჩატარდა 9 სხდომა. პირველი სხდომა ჩატარდა 20 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1.აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 1 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აგროსაინჟინრო მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორები. 2. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. ელექტრიფიკაციის ზოგიერთი ასპექტები. მომხსენებელი: აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე.

მესამე სხდომა ჩატარდა 12 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 18 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აგროსა-

ინჟინრო დარგში ქართული ტერმინების დანერგვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 22 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. USAID-REAP პროექტის მუშაობის ანგარიში. მომხსენებელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე; 2. თხილის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა და მექანიზაცია. მომხსენებელი: აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ ებანოიძე.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 26 ივლისს და განხილული იქნა საკითხი: 1. მარცვლეული კულტურების წარმოების მინიმალური და ნულოვანი ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელება ქვეყნის მასშტაბით. მომხსენებელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ქარჩავა; 2. ნიადაგების დამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიები. მომხსენებელი: ტექნიკის დოქტორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 14 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება გლობალიზაციის პირობებში. მომხსენებელი: აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე.

მერვე სხდომა ჩატარდა 22 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. აგროსაინჟინრო დარგში რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოსები: ელგუჯა შაფაქიძე, ჯემალ კაციტაძე, რევაზ მახარობლიძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 26 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს აგრარული სექტორის სტატისტიკა. მომხსენებელი: აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე; 2. გარემოზე ზემოქმედების ჰიდროეკოლოგიური ფაქტორები და დაცვის საინჟინრო ღონისძიებები. მომხსენებელი: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით გუბელაძე.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: ერთობლივი სემინარი მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების და ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებებთან - „მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია, კოოპერირება და ნედლეულის წარმოება“. მრგვალი მაგიდა „ელექტრიფიკაციის ზოგიერთი ასპექტები ”.

მრგვალი მაგიდა - "სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში".

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოს მდივანი ნუგზარ ბაღათურია

განყოფილებაში 2016 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 15 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 29 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორები; 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; 3. აკადემიკოს თენგიზ ნანიტაშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 14 მარტს. განხილულ იქნა საკითხი: 1. ყურძნის გადამუშავების ნარჩენებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღება და გამოყენება. მომხსენებელი: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ხოსიტაშვილი.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 26 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნ. ბაღათურიას სამეცნიერო მივლინება კალიფორნიაში, მეღვინეობისა და კვების მეცნიერების საკითხების თანამედროვე პრობლემების გასაცნობად. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; 2. ეკოლოგიურად სუფთა ყურძნის წვენისა და ღვინის მიღების რაციონალური ტექნოლოგიის გამოკვლევა. მომხსენებელი: პროფესორი ნანა ბეგიაშვილი, კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 19 მაისს და განხილული იქნა საკითხი: 1. ყველის წარმოების

ნარჩენების – შრატის გამოკვლევა. მომხსენებელი: კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი, ეთერ ედიბერიძე.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 30 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. შესწორებები სანიტარულ წესებსა და ნორმებში. მომხსენებელი: კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ თამშრომელი ასოცირებული პროფესორი, ეთერ ედიბერიძე; 2. ხილ-კენკროვანთა შეფერილი წვენის ნატურალურობის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებელი. მომხსენებელი: კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი, იზოლდა კუპატაძე.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 29 ივლისს და განხილული იქნა საკითხი: 1. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები. მომხსენებელი: კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია.

მერვე სხდომა ჩატარდა 15 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში ველურად მზარდი ღვიის ტექნოქიმიური დახასიათება. მომხსენებელი: ასოცირებული პროფესორი ლუიზა ქაჯაია, კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 2. დაფნისა და ევკალიპტის ნედლეულიდან ბიოაქტიური ექსტრაქტების მიღების ტექნოლოგია. მომხსენებელი: ასოცირებული პროფესორი ლია კოტორაშვილი, კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 20 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. სამკურნალო სანელებელ-არომატული ნედლეულის ბაზა და ფუნქციური კვების პროდუქტების წარმოების პერსპექტივები საქართველოში. მომხსენებელი: ასოცირებული პროფესორი ნაზი ალხანაშვილი, კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

მეათე სხდომა ჩატარდა 21 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: ხილ-კენკროვანთა ნაყოფებიდან რადიოპროტექტორული თვისებების მქონე ფუნქციონალური დანიშნულების წვენების მიღება. მომხსენებელი: ასოცირებული პროფესორი ეთერ უთურაშვილი, კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 12 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ვაზის ენდემური ჯიშებიდან საფუვრის კოლექციების შექმნა და მათი როლი მეღვინეობაში. მომხსენებელი: ასოცირებული პროფესორი მაკა ორმოცაძე, კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 2. ფუნქციონალური დანიშნულების სასმელების წარმოების შესახებ. მომხსენებელი: ასოცირებული პროფესორი იზოლდა კუპატაძე, კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: სემინარი "ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტები და მათი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები". სემინარი "კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენები და მათი უტილიზაცია."

სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში აკადემიკოს–მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი

სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილებაში 2016 წელს ჩატარდა 10 სხდომა, აგრეთვე მრგვალი მაგიდა თემაზე: „საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარების შესახებ", რომელზეც მოხსენებით გამოვიდა სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. მომხენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობა მრავალგანზომილებიანი საკითხია და იგი ერთნაირად მოითხოვს სახელმწიფოს, მომხმარებლების, მწარმოებლების, ფერმერების, მეცნიერ-მკვლევარებისა და პოლიტიკოსთა ძალისხმევას. თუმცა განსაკუთრებული როლი მაინც ხელისუფლებას აკისრია, რადგან ერთის მხრივ იგი ვალდებულია დაიცვას სურსათის მომხმარებლების ჯანმრთელობა და სიცოცხლე სურსათით გამოწვეული დაავადებებისა და სხვა საფრთხეებისგან, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოს მოსახლეობისათვის უვნებელ სურსათზე ხელმისაწვდომობა.

პირველი სხდომა ჩატარდა 22 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მომდევნო სხდომა ჩატარდა 28 იანვარს და მიეძღვნა თემას: პალმის ზეთი, როგორც პოტენციური საფრთხე. მომხსენებელი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიო–ორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ გახოკიძე, თანამომხსენებელი პროფ. ქეთევან დადიანი.

მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად პალმის ზეთის შემცველი გარკვეული კვების სპეციფიური პრო-

დუქტების მიღების სიხშირის შესახებ მონაცემთა არქონისა, დღეისათვის საქართველოში პალმის ზეთის იმპორტის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსახლეობაში პალმის ზეთის გამოყენების საშუალო მაჩვენებელი საკმაოდ მცირეა (0,96გ - დღეში, საშუალო მოხმარების სცენარის გათვალისწინებით) მოსახლეობის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების რეკომენდებულ სიდიდეებზე როგორც ზრდასრული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის, ასევე სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის დადგენილი ცხიმების (მათ შორის მცენარეული ცხიმების) მოხმარების სარეკომენდაციო სიდიდეებთან მიმართებაში და ამდენად დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ კორელაცია ნაჯერი ცხიმების (პალმის ზეთის) ჭარბი რაოდენობით გამოყენებასა და თანმდევი უარყოფითი ეფექტების განვითარების შემთხვევებს შორის უმნიშვნელოა;

აღსანიშნავია, რომ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, აკადემიკოს-მდივნის ზურაბ ცქიტიშვილის ინიციატივით მომზადდა წერილი, რომელიც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გ. ალექსიძის ხელმოწერით, რეაგირებისათვის გაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორს ლევან უჯმაჯურიძეს.

განყოფილების მესამე სხდომა ჩატარდა 4 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სურსათის უვნებლობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის სურსათის უვნებლობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორები; 2. სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში (1990-2015წ.წ.) მომხსენებელი: საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი, საქართველოს წარმომადგენელი სოფლის მეურნეობისა და სურსათის კომიტეტში (1999-2005წ.წ.), ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ჩხეიძე.

ავტორი გვამცნობს, რომ ტერმინი "სასურსათო უსაფრთხოება" 4 კომპონენტს შეიცავს, ესენია: 1) მოსახლეობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით; 2) მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით; 3) მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით; 4) მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით. კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში სამწუხაროდ არ არსებობს სასურსათო უსაფრთხოების არა მარტო ერთიანი სტრატეგია, პროგრამა და მისი განმახორციელებელი ინსტიტუტი, არამედ სასურსათო უსაფრთხოების სისტემის სახელმწიფოებრივი გეგმა. სასურსათო უსაფრთხოების ელემენტები მიმოფანტულია რაიმე სერიოზული შემკრები კომუნიკაციის გარეშე სხვადასხვა სამინისტროებში, უწყებებში, მათ ნორმატიულ აქტებში და არ არსებობს მათ შორის კომუნიკაცია, რაც არ იძლევა ერთი ცენტრიდან კოორდინაციის შესაძლებლობას. მდგომარეობიდან გამოსავალი არის ქვეყანაში ცხოვრების დონის აწევა, რაც მიიღწევა მოსახლეობის დასაქმებით, ხელფასების გაზრდით, გადასახადებზე შეღავათების დაწესებით და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის იმედს კი იძლევა ის უპრეცენდენტო სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელება დაიწყო 2013 წლიდან და დღესაც გრძელდება.

30 მარტს განყოფილებაში ჩატარდა რიგით მეოთხე სხდომა და განხილული იქნა საკითხი: 1. სურსათის უვნებლობის რეგულირების თანამედროვე მეცნიერული ასპექტები. მომხსენებელი: პროფესორი ქეთევან ლაფერაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის ძირითადი პრინციპები, სიახლის თვალსაზრისით, არის რისკის ანალიზი, პრევენცია გაფრთხილების პრინციპი, გამჭვირვალეობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა და რომ სურსათის უვნებლობა, როგორც მეცნიერება მოიცავს შემდეგ საკითხებს, როგორიცაა ადამიანი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სურსათით გამოწვეული რისკებისაგან დაცვა; სურსათის უვნებლობის სფეროში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და გატარებული ქმედებები რისკის ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს; სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე შემუშავებული სახელმწიფო წლიური პროგრამის შესაბამისად.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 28 აპრილს და გა ნხილული იქნა შემდეგი საკითხი: 1. ბაქტერი ოფაგების გამოყენება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მომხსენებელი: მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ბაქტერიოფაგის ლაბორატორიის უფროსი ნინა ჭანიშვილი.

ქალბატონმა ნინა ჭანიშვილმა ფართოდ ისაუბრა აღნიშნული თემის ირგვლივ. მან განმარტა, რომ ბაქტერიოფაგი არის ბაქტერიის ვირუსი. ის რომ ბაქტერიების რაოდენობა ჩვენს პლანეტაზე აღწევს 10^{31} ს, თუმცა მხლოდ 2000-3000 ფაგია დღემდე გამოყოფილი და შესწავლილი. დღეისათვის ბაქტერიოფაგით მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობს მეცხოველეობის სხვადასხვა დარგში. ასე, მაგ.

მეძროხეობაში მასტიტების, თევზსაშენ მეურნეობებში Acromonas salmonicida-ს, მეფრინველეობაში ექსტრაპათოგენური ნაწლავური ჩხირის, სალმონელას წინააღმდეგ. ბაქტერიოფაგებს ასევე იყენებენ მცენარეთა დაცვისათვის ისეთი დაავადებებისაგან, როგორიცაა კარტოფილის სიდამპლე, ბრინჯისა და ბამბის დაავადებები, ვაზის კიბო და ა.შ.

ფართოდაა ცნობილი ბაქტერიოფაგების, როგორც დეზინფექტანტების მოქმედება.

30 მაისს ჩატარდა მეექვსე სხდომა და განხილული იქნა საკითხი: 1. შხამ-ქიმიკატების პოტენციური საფრთხეები სურსათთან მიმართებაში. მომხსენებელი: აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების უფროსი არჩილ სუპატაშვილი.

ადამიანის მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოწვეულმა ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრმა გაუარესებამ მსოფლიოს ბევრ რეგიონში გავლენა მოახდინა სურსათის შემადგენლობაზე. კვების პროდუქტებთან ერთად ადამიანი ხშირად იღებს ორგანიზმისთვის უცხო ნივთიერებებს, ამიტომ უვნებელი სასურსათო ნედლეულის წარმოება თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ავტორის ღრმა რწმენით ამ საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ არა შხამ-ქიმიკატების, არამედ ბიოლოგიური აგენტების გამოყენებამ მსგავსად რიზოფაგუსისა, რომელმაც გაანადგურა დიდი ლაფნიჭამია.

მეშვიდე სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 5 ივლისს განხილული იყო შემდეგი საკითხები: 1. პრობიოტიკების წარმოების ტექნოლოგია და მისი გამოყენება მეცხოველეობაში. მომხსენებელი: სურსათის სააგენტოს უფროსის მოადგილე კახა სოხაძე;

პრობიოტიკი ბაქტერიული წარმოშობის მიკროორგანიზმია, რომელიც ერთიანდება lactobacillus და bifidobacterium ოჯახში. პრობიოტიკული სპორები გამოიყენება როგორც დიეტური დანამატები ადამიანის საკვებში, როგორც ზრდის სტიმულატორები ცხოველებისათვის, ხოლო აკვაკულტურებში როგორც ზრდისა და დაავადებების რეზისტენტობის ასამაღლებელი საშუალება. პრობიოტიკებს მეფრინველეობაში აკონტროლებენ პათოგენურ მიკროორგანიზმებს, სტიმულაციას უწევენ ფრინველის ზრდას, აუმჯობესებენ საკვების კონვერსიას, რასაც მოჰყვება სხეულის მასის ზრდა, კვერცხის ხარისხის გაუმჯობესება. პრობიოტიკებს წარმატებით იყენებენ მეღორეობასა და მეძროხეობაშიც. კერძოდ, იგი ამცირებს სიკვდილიანობას ახლად ასხლეტილ გოჭებში, აუმჯობესებს ზრდის პარამეტრებს სუქებაზე დაყენებულ მოზარდში. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან საქონელს, პრობიოტიკის მიცემისას აქ მკვეთრად ეცემა ნაწლავური ჩხირით გამოწვეული სიკვდილიანობა, როგორც ხბოებში, ასევე ზრდასრულებშიც. ამჟამად მიმდინარეობს კვლევები, რათა სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ ანტიბიოტიკები ჩაანაცვლონ პრობიოტიკებით.

მე-2 საკითხად წარმოდგენილი იყო თემა: "სურსათის უვნებლობა რძის სექტორისათვის." მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - რისკის შეფასების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების ეროვნული კოორდინატორი მაკა მდინარაძე. მომხსენებელმა ჩამოაყალიბა სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის ძირითადი პრინციპები. ხაზი გაუსვა იმას, რომ სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ფუნქციონირებაზე. მაგალითისთვის მოიყვანა HACCP-ი, მეცნიერებაზე დაფუძნებული მართვის სისტემა. რაც შეეხება რძეში არსებული პოტენციურ საფრთხეებს ისინი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. თავად საფრთხეები 3 ჯგუფად იყოფა: მიკრობიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურად. აღნიშნული ტიპის საფრთხეებისაგან მომხმარებლის დასაცავად არსებობს საკანონმდებლო ნორმატივები და აქტები, რომელთა შესრულებაც რეგულირდება ქვეყნის კანონმდებლობით. გარდა ამისა არსებობს ასევე საერთაშორისო რეგულაციები და დირექტივებიც, რომელიც ადგენს სურსათში გარკვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის ზღვრულ დონეებს. ხარისხის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სტანდარტებს ISO-9001:2000 და ISO-22000:2005, რომელთა დაცვის შემთხვევაში საწარმოებებს უფლება აქვთ თავიანთი პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე გაიტანონ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხს მეცნიერებთან ერთად ისმენდნენ რძის პროდუქტების წარმოების კომპანიების თანამშრომლები, შ.პ.ს.- ების წარმომადგენლები, ინდმეწარმეები. ეს სხდომა იყო მეცნიერთა და მეწარმეთა თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი. მოწვეულმა სტუმრებმა მადლობა გადაიხადეს მოწვევისათვის და ზოგიერთი, მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის დახმარებაც ითხოვეს.

მერვე სხდომა ჩატარდა 20 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სახელმწიფო მონიტორინგის მონაცემების ანალიზის საფუძველზე სასმელ წყალში უვნებლობის ზღვრული სიდიდეების დარღვევების შესახებ. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი მაია მეტრეველი. 2. საქართველოს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უვნებლობის ასპექტები და მასთან ასოცირებული რისკები. მომხსენებლები: მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი - მარინა ლაშხაური; გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროექტების მართვისა და რისკის შეფასების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მანანა გრძელიშვილი.

პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მოგვაწოდა ინფორმაცია შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე", შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერზე" (GWP), "რუსთავის წყალზე", შპს "შუახევის წყალკანალზე", შპს "ქობულეთის წყალზე", შპს "ხელვაჩაურის წყალზე" და ა.შ. წარმოადგინა 2015 წელს ჩატარებული სასმელი წყლის მონიტორინგის შედეგები. სულ აღებული იყო 700 სინჯი. დარღვევების საერთო რაოდენობამ შეადგინა 297, ანუ 42,4%. აქედან ბიოლოგიურზე მოდიოდა 285, ქიმიურზე 14, ხოლო ფიზიკურზე 58. რაც შეეხება მე-2 საკითხს, მომხსენებელმა ისაუბრა სასმელი წყლის მნიშვნელობაზე, როგორც სიცოცხლის შენარჩუნების აუცილებელ პირობაზე. ის, რომ 2014-2015 წლებში ქვეყნის მასშტაბით სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლამ გამოავლინა მასში საერთო კოლიფორმები, რაც მიუთითებს არასაკმარის გაწმენდაზე, St. Faecalis, რომელიც – ადამიანის ფეკალიებით წყლის დაბინძურების სპეციფიკური ინდიკატორია, E.coli ახალი ფეკალური დაბინძურების მაჩვენებელია. Clostridium perfringens მიუთითებს არასაკმარის გაწმენდასა და ფილტრაციის დეფექტებზე. კოლიფაგები – ადამიანის ნაწლავური ვირუსებით წყლის დაბინძურების დამატებითი ინდიკატორია და სხვა. ყოველივე ამის აღმოსაფხვრელად საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: სანიტარიული დაცვის ზონების ორგანიზება. წყალაღების ადგილებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების აკრძალვა; წყალგამწმენდ ნაგებობებზე, წყლის მომზადების პროცესისათვის წყლის გაწმენდისა და გაუსნებოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; წყალგამანაწილებელი ქსელის დროული შეცვლა, ავარიების დროული გამოვლენა/ლიკვიდაცია; ავარიების შემდგომ წყალსადენის ქსელების დროული დეზინფექცია; შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა.

აღნიშნული თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე მომზადდა რიგით მეორე წერილი, რომელიც რეაგირებისათვის გაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორს ლევან უჯმაჯურიძეს.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 24 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. სურსათის მონიტორინგის სტატისტიკური ანალიზი. მომხსენებლები: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - რისკის შეფასების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების ეროვნული კოორდინატორი მაკა მდინარაძე; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - რისკის შეფასების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლალი ტაბატაძე.

მომხსენებლებმა წარმოადგინეს 2015 წლის და 2016 წლის 9 თვის განმავლობაში სურსათის მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები. აღმოჩნდა, რომ 2015 წლის მონიტორინგის ფარგლებში აღებული ცხოველური წარმოშობის სურსათის 658 ნიმუშიდან, დარღვევა გამოვლინდა 209 ნიმუშში, რაც ნიმუშების მთლიანი რაოდენობის 31,8%-ს შეადგენს. დარღვევები გამოვლენილი იყო ასევე სასმელებში და არაცხოველურ საკვებშიც. 2016წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგმა აჩვენა, რომ დარღვევათა რიცხვი შედარებით დაბალია, თუმცა საჭიროება მოითხოვს, რომ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, როგორც მათ აღმოსაფხვრელად, ასევე მათი პრევენციისთვის.

მე-2 საკითხზე "რისკის შეფასების მიზნებისთვის მონიტორინგის მონაცემთა გამოყენების მეცნიერული მიდგომები." მოხსენება გააკეთა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნირო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ქეთი დადიანმა.

მომხსენებელმა განმარტა მონიტორინგის არსი, ის რომ მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად. აღნიშნა, რომ მონიტორინგის წესს ადგენს ტექნიკური რეგლამენტი, ხდება ექსპოზიციის

შეფასება, ექსპოზიციის შეფასებისთვის კონტამინაციის მონაცემთა გენერალიზება. სურსათის მონიტორინგის პარარელურად მიმდინარეობს ტოტალური დიეტური კვლევა და სკრინიგი TDS და ა.შ.

ბოლო, მეათე სხდომა ჩატარდა 27 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. სურსათში აკრილამიდის, როგორც კვების ჯაჭვში არსებული დამასნეულებლის პოტენციური საფრთხე. მეცნიერული აზრი თემაზე: "სურსათში აკრილამიდის, როგორც კვების ჯაჭვში არსებული დამასნეულებლის პოტენციური საფრთხე." მომხსენებელი: სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკედმიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; თანამომხსენებლები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ გახოკიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნირო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ქეთი დადიანი.

აკრილამიდი არის ის ქიმიური ნივთიერება, რომელიც ბუნებრივად წარმოიქმნება სახამებლით მდიდარ სურსათში მისი მაღალ ტემპერატურაზე მომზადების ისეთი წესის დროს, როგორიცაა: შეწვა, გამოცხობა, გაფიცხება, აგრეთვე სურსათის სამრეწველო გადამუშავებისას +120 C-ზე დაბალი ტენიანობის პირობებში. აკრილამიდი ფორმირდება იმ შაქრებისა და ამინომჟავებისგან (ასპარაგინი და სხვ..), რომლებსაც ბუნებრივად შეიცავს სურსათი. ეს ქიმიური პროცესი ცნობილია „მაილარდის რეაქციის" სახელით და მას თან ახლავს „დაბრაწვის" ეფექტი, რომელიც სასიამოვნო გემოს და სუნს ანიჭებს სურსათს. კკსს"-კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს მიერ AA კლასიფიცირებულია როგორც 2 ჯგუფის კარცინოგენი (სავარაუდო უჯრედის ნეოპლასტიურ უჯრედად გარდაქმნა, კარცინოგენობა ადამიანისათვის). დადასტურებულია, რომ სურსათში აკრილამიდის არსებობა პოტენციურად ზრდის კანცერის რისკს მომხმარებელთა ყველა ასაკობრივ ჯგუფში; განსაკუთრებით მაღალია რისკი ბავშვებში მათი „სხეულის დაბალი მასის" .

საკითხის პრობლემატურობიდან გამომდინარე მომზადდა წერილი და რეაგირებისათვის გაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორს ლევან უჯმაჯურიძეს.

სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება აკადემიკოს მდივანი რევაზ ჩაგელიშვილი

განყოფილება შეიქმნა 2016 წლის დეკემბერში.

ეკონომიკის სამეცნირო განყოფილება აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი

განყოფილებაში 2016 წელს ჩატარდა 7 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 13 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 3. აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 23 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 19 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 24 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს პაატა კოღუაშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 16 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. პროგრამირებულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის ეკონომიკური გააზრება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გათვალისწინებით. მომხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 21 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს სასოფლო ტერიტორიების ტევადობა (რამდენი ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს და

საქმიანობდეს სოფლად). მომხსენებელი: აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 17 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: ერთობლივი სემინარი აგროსაინჟინრო და მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილებებთან „მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია, კოოპერირება და ნედლეულის წარმოება.“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული შრომათა კრებულის „მოამბის“ გამოცემის შესახებ

2017 წლის 31 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა მოხსენება “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული შრომათა კრებულის „მოამბის“ გამოცემის შესახებ”. მომხსენებლები: აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულ "მოამბის" მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; პასუხისმგებელი რედაქტორი აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ გამოცემაში 2016 წელს მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები შევიდა. იგი გარდაიქმნა სამეცნიერო-მეთოდოლო-გიურ და პრაქტიკულ, რეფერირებულსამეცნიერო შრომათა კრებულად „მოამბე“.

ამისათვის:

1. მომზადდა და დამტკიცდა საგაგნებო დებულება (2016 წლის 11 იანვარს);
2. „მოამბის“ საქმიანობას საფუძვლად დაედო საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც მოგვაწოდა „ტექინფორმმა“;
3. გაფორმდა ხელშეკრულება ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელთან“ „მოამბის“ საერთაშორისო ბაზებში გასავრცელებლად, ციფრულ კოლექციაში შეტანის საშუალებით;
4. გაფორმდა ხელშეკრულება სტამბასთან „დეგაპრინტი“, რომელიც წინასწარ ჩარიცხული თანხების საფუძველზე ბეჭდავს „მოამბეს“
5. „მოამბე“ გამოიცემა წელიწადში ორჯერ;
6. „მოამბის“ 3 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია ეგზავნება პარლამენტის ბიბლიოთეკას, 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია„ტექინფორმს“;
7. შექნილია საკუთარი საიტი;
8. შეიქმნა და დამტკიცდა სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო და საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია. სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაშია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 22 წევრი და 7 ქვეყნის 12 უცხოური წევრი. საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა შემდეგია: გ.ალექსიძე - მთავარი რედაქტორი, გ.ჯაფარიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე, ო.ქეშელაშვილი-პასუხისმგებელი რედაქტორი, ე.შაფაქიძე - წევრი, ა.გიორგაძე - წევრი.
9. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა სტანდარტული რეფერატის ნიმუში, მოთხოვნები სამეცნიერო შრომათა კრებულის მიმართ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ.

მოთხოვნები სამეცნიერო შრომათა კრებულ „მოამბის“მიმართ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად,შემდეგია:

I. საერთო (ზოგადი) მოთხოვნები:

1. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები აუცილებლად უნდა გადიოდეს წინასწარ რეცენზირებას;
2. დაცული უნდა იყოს სამეცნიერო შრომათა კრებულის გამოცემის რეგულარობა ანუ უნდა იყოს პერიოდული გამოცემა და რეგისტრირებული უნდა იყოს ISSN საერთაშორისო ცენტრში (ჰქონდეს ISSN);
3. სამეცნიერო სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი ქართულ (ორიგინალის) და ინგლისურ ენაზე;
4. გამოყენებული ლიტერატურა დაწერილი უნდა იყოს რომაული ალფავიტით;
5. სამეცნიერო შრომათა კრებული უნდა იცავ-

დეს სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ეთიკას, რის შესა-ხებაც გაცხადებული უნდა იყოს მის საიტზე;

6. რადგანაც საერთაშორისო ბაზები (ჭოშ და შცოპუს) ინგლისურენოვანია, ამიტომ, სამეცნიერო პუბლიკაციის შინაარსობრივი ინფორმაცია: სტატიის სათაური, რეფერატი, საძიებო სიტყვები, ავტორის სამუშაო ადგილის დასახელება, ხარისხი, წოდება და სხვ. წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე;
7. ის მონაცემები, რომლებიც არ ითარგმნება (ავტორის გვარი, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და სხვა) წარმოდგენილი უნდა იყოს რომაული ალფავიტით. ამისათვის გამოიყენება ტრანსლიტერაციის ერთ-ერთი საერთაშორისო სისტემა (მაგალითად (Unoffical system). არარომაული ალფავიტით შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ სტატიის ტექსტები და ნახატები საიტზე;
8. სამეცნიერო შრომათა კრებულს უნდა გააჩნდეს თავისი საკუთარი საიტი;

II. პოლიტიკა:

1. სამეცნიერო შრომათა კრებულს უნდა ჰქონდეს დამაჯერებელი პოლიტიკა;
2. დაცული უნდა იყოს რეცენზირების ტიპი;
3. დაცული უნდა იყოს სარედაქციო საბჭოს შემადგენლობის გაოგრაფია (საბჭოში უნდა შედიოდნენ მეცნიერები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან);
4. დაცული უნდა იყოს ავტორთა შემადგენლობის გაოგრაფია;

III. შინაარსი:

1. სტატიებს უნდა გააჩნდეს მეცნიერული ღირებულება;
2. სტატიებს უნდა ახლდეს მკაფიო რეფერატები ქართულად (ორიგინალის ენაზე) და ინგლისურად;
3. სტატიაში უნდა ჩანდეს გაცხადებული მიზნისა და არეალის სისრულის ხარისხი (მაღალი უნდა იყოს სიახლის, დებულებების, დასკვნების, რეკომენდაციების დასაბუთებულობის დონე);
4. სტატია უნდა იყოს კითხვადი (სტილისტურად დახვეწილი, მეცნიერულად და ენობრივ რედაქტირებული);

IV. წარმომადგენლობითობა (ჟოურნალ სტანტინგ):

1. მიზანშეწონილია სტატიების ციტირება შცოპუს-ში;
2. მიზაშეწონილია რედაქტორების წარმომადგენლობითობა (დიტორ სტანტიჰგ);

V. რეგულარობა:

1. დაცული უნდა იქნეს გამოცემის გრაფიკი (დარღვევის გარეშე);

V. ონლაინ ხელმისაწვდომობა:

1. სამეცნიერო შრომათა კრებულის საიტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე (საიტში აისახება რეფერატები ინგლისურ ენაზე);
2. დაცული უნდა იქნას სამეცნიერო შრომათა კრებულის საიტის მაღალი ხარისხი.

VI. მოთხოვნა რეცენზირების შესახებ. შცოპუსში წარდგენილი სამეცნიერო შრომათა კრებულისათვის განიხილება რეცენზირების 4 ტიპი:

1. „რეცენზირება მთავარი რედაქტორის მიერ“. მხოლოდ ერთი ან ორი მთავარი რედაქტორი ახდენს ყველა სტატიის რეცენზირებას და შერჩევას პუბლიკაციისათვის;
2. „ღია რეცენზირება“. რეცენზენტმა და ავტორმა იციან ერთმანეთის ვინაობა. ითვალისწინებს სამ ან მეტ რეცენზენტს, თითოეული გამოცემის ყველა სტატიისათვის;
3. „ცალმხრივი ფარული რეცენზირება“. რეცენზენტმა იცის ავტორის ვინაობა, ავტორმა კი არ იცის რეცენზენტის ვინაობა. ითვალისწინებს სამ ან მეტ რეცენზენტს, თითოეული გამოცემის ყველა სტატიისათვის;
4. „ორმხრივი ფარული რეცენზირება“.. რეცენზენტმა და ავტორმა არ იციან ერთმანეთის ვინაობა. ითვალისწინებს სამ ან მეტ რეცენზენტს თითოეული გამოცემის ყველა სტატიისათვის.

ყველა ტიპი, გარდა პირველისა, თანაბრად მისაღებად მიიჩნევა.

VII. მოთხოვნები სტატიის შინაარსისა და მისი რეფერატის მიმართ:

- რეფერატი უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს (სამეცნიერო ნაშრომის) არსს და გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას რაც არ არის პუბლიკაციის ძირითად ტექსტში;
- რეფერატში მოკლედ და ზუსტად უნდა აისახოს სტატიის შინაარსი, მასში გადმოცემული უნდა იყოს სამუშაოს ძირითადი ფაქტები და შედეგები;
- რეფერატის ტექსტი უნდა იყოს ლაკონიური და მკაფიო, თავისუფალი ზედმეტი სიტყვებისაგან, გამოირჩეოდეს ფორმულირების დამაჯერებლობით;
- რეფერატი უნდა შეიცავდეს სტატიის შინაარსის შემდეგ ასპექტებს:

1. სამუშაოს საგანი, თემა, მიზანი;
2. სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია;
3. სამუშაოს შედეგები;
4. შედეგების გამოყენების სფერო;
5. დასკვნები;

სამუშაოს საგანი, თემა და მიზანი გადმოიცემა იმ შემთხვევაში, როცა ის არ ჩანს სტატიის სათაურში.

სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია აღწერილ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოირჩევა სიახლით ან საინტერესოა ამ სამუშაოს გამოყენების თვალსაზრისით.

უნდა შევეცადოთ არ გამოვიყენოთ ჩართული სიტყვები (მაგ. სტატიის ავტორი განიხილავს...)

(სამაგალითო ფრაზები: განსაზღვრულია, გაანალიზებულია, ვლინდება, შესწავლით მიიღება შემდეგი შედეგები, გაპირობებულია, გამოწვეულია, რაც განაპირობებს და ა.შ.).

VIII. რეფერატის გაფორმება უნდა მოხდეს შემდეგი სტანდარტიზებული სტრუქტურის მიხედვით:

- რეფერატის რიგითი ნომერი;
- სათაური ქართულ (ან ორიგინალის) ენაზე
- სათაური ინგლისურ ენაზე;
- ავტორ(ებ)ი;
- გამოცემის მოკლე დასახელება;
- პუბლიკაციის წელი;
- ტომი;
- გამოშვება;
- სტატიის გვერდები;
- პირველწყაროს ენა;
- რეფერატის ტექსტი;
- პირველი ავტორის მისამართი;
- ბიბლიოგრაფია.

რეფერატის ტექსტის მისაღებ მოცულობად მიჩნეულია 1000 ნიშანი ან 100-250 სიტყვა.

IX. რეფერატი ინგლისურ ენაზე:

1. ინგლისურენოვანი რეფერატი ერთადერთი წყაროა, რომლის მიხედვითაც უცხოელი სპეციალისტი აფასებს ქართველი მეცნიერის პუბლიკაციას, იყენებს თავის პუბლიკაციაში, დისკუსიაში შედის ავტორთან და ა.შ.

2. რეფერატი ინგლისურ (ბსტრაცტ)ენაზე უნდა იყოს:

- ინფორმაციული (არ შეიცავდეს ზოგად ფრაზებს);
- ორიგინალური (არ იყოს ქართული რეფერატის ზუსტი კალკი);
- შინაარსიანი (ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს);
- სტრუქტურული (მისდევდეს სტატიის ლოგიკას);
- „ინგლისურენოვანი“(დაწერილი ხარისხიანი ინგლისური ენით და ინგლისურენოვანი სპეციალური ტერმინებით);
- კომპაქტური (შეიცავდეს 100-250 სიტყვამდე).

X. გამოყენებული ლიტერატურის აღწერის ბიბლიოგრაფიული სტანდარტი:

მაგალითი (სტანდარტის მიხედვით):

ჭილაძე ბ, ლომთაძე ნ, ტრეკოვი-ა. ჩერენკოვის ეფექტის გამოყენება ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების ასამაღლებლად. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. 2012;6(2):67-73.

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ შემდეგია: (საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად)

1. სტატიის მოცულობა განისაზღვრება 10 გვ-მდე. წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად (იტ უსხ ან ცსდ უსხ-11; 1.0 ინტერვალზე; ზომები: თოპ 1.5; ოტტომ 1.5; ეფტ 2.5; ღიგჰტ 1.5) და ჩ -ზე.
2. სტატიას წინ უნდა უძღოდეს სათაური, შემდეგ მოსდევდეს ავტორ(ებ)ის დასახელება, ხარისხისა და წოდების მითითებით; ცალკე სტრიქონად უნდა იყოს წარმოდგენილი საძიებო (საკვანძო) სიტყვები;
3. სტატიას უნდა გააჩნდეს მეცნიერული ღირებულება;
4. სტატია უნდა იყოს კითხვადი (სტილისტურად დახვეწილი, მეცნიერულად და ენობრივად რედაქტირებული);
5. სტატიას უნდა ახლდეს მკაფიო რეფერატი (ინტერნეტული ვერსია, 1000 ნიშანი ან 100-250 სიტყვა) ქართულად (ორიგინალის ენაზე) და ინგლისურად. ინგლისურენოვანი რეფერატი ერთადერთი წყაროა, რომლის მიხედვითაც უცხოელი სპეციალისტი აფასებს ქართველი მეცნიერის პუბლიკაციას, იყენებს თავის პუბლიკაციაში, დისკუსიაში შედის ავტორთან და ა.შ.
6. მონაცემები, რომლებიც არ ითარგმნება (ავტორის გვარი, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და სხვა) წარმოდგენილი უნდა იყოს რომაული ალფავიტით. ამისათვის გამოიყენება ტრანსლიტერაციის ერთ-ერთი საერთაშორისო სისტემა (მაგალითად (ნოფფიცალ სყსტემ). არარომაული ალფავიტით შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხო-ლოდ სტატიის ტექსტები და ნახატები საიტზე;
7. მოთხოვნები რეფერატის მიმართ;

- რეფერატი უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს (სამეცნიერო ნაშრომის) არსს და გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას რაც არ არის პუ-ბლიკაციის ძირითად ტექსტში;
- რეფერატში მოკლედ და ზუსტად უნდა აისახოს სტატიის შინაარსი, მასში გადმოცემული უნდა იყოს სამუშაოს ძირითადი ფაქტები და შედეგები;
- რეფერატის ტექსტი უნდა იყოს ლაკონიური და მკაფიო, თავისუფალი ზედმეტი სიტყვებისაგან, გამოირჩეოდეს ფორმულირების დამაჯერებლობით;

რეფერატი უნდა შეიცავდეს სტატიის შინაარსის შემდეგ ასპექტებს:

- სამუშაოს საგანი, თემა, მიზანი;
- სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია;
- სამუშაოს შედეგები;
- შედეგების გამოყენების სფერო;
- დასკვნები;

სამუშაოს საგანი, თემა და მიზანი გადმოიცემა იმ შემთხვევაში, როცა ის არ ჩანს სტატიის სათაურში.

სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია აღწერილ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოირჩევა სი-ახლით ან საინტერესოა ამ სამუშაოს გამოყენების თვალსაზრისით.

უნდა შეეცადოთ არ გამოვიყენოთ ჩართული სიტყვები (მაგ. სტატიის ავტორი განიხილავს...)

(სამაგალითო ფრაზები: განსაზღვრულია, გაანალიზებულია, ვლინდება, შესწავლით მიიღება შემდეგი შედეგები, გაპირობებულია, გამოწვეულია, რაც განაპირობებს და ა.შ.).

8. რეფერატი ინგლისურ ენაზე (ბსტრაცტ) უნდა იყოს:

- ინფორმაციული (არ შეიცავდეს ზოგად

ფრაზებს);
- ორიგინალური (არ იყოს ქართული რეფერატის ზუსტი კალკი);
- შინაარსიანი (ასახავდეს სტატის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს);
- სტრუქტურული (მისდევდეს სტატიის ლოგიკას);
- „ინგლისურენოვანი“(დაწერილი ხარისხიანი ინგლისური ენით და ინგლისურენოვანი სპეციალური ტერმინებით);
- კომპაქტური (შეიცავდეს 100-250 სიტყვამდე).

„მოამბეში“ შემოღებულია რუბრიკები (განყოფილებები) სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით, აგრეთვე სპეციალური რუბრიკები.

„მოამბის“ საქმიანობა მიმდინარეობს წარმატებით, რასაც გარკვეული დადებითი წვლილი შეაქვს აკადემიის მუშაობაში.

მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე აკადემიაში

მიმდინარე წლის 10 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა შეხვედრა მეცნიერებაში მოღვაწე ქალბატონებთან.

როგორც ცნობილია გენდერული თანასწორობა, ქალებისა და გოგონების უფლებათა და შესაძლებლობათა გაფართოება საშუალებას მისცემს მათ შეიტანონ თავიანთი წვლილი როგორც გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე 2030 წლამდე პერიოდში მდგრადი განვითარების მისაღწევად.

წარმატებებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოვა მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და აგრარულ სფეროში მოღვაწე ქალბატონები: **ლამარა ჯიქია, მარინე ბარვენაშვილი, ნატო კაკაბაძე, თამარ კაჭარავა, ნანული ჭანუყვაძე, ნინო ზაქარიაძე, მარიამ ხომასურიძე, ირინა დანელია, მაია მელაძე, თინათინ გოგიშვილი, მზაღო ლობჟანიძე, ირმა ინაშვილი, ქეთევან როყვა, თინათინ დარსაველიძე, ქეთევან დადიანი, მაია კერესელიძე, ლალი ტაბატაძე, მაკა მდინარაძე, ინგა ღვინერია, დიანა ძიძიგური, მზია თვალავაძე, ნელი ქისიშვილი, ირმა შიოშვილი, ნანა ჩინჩილიკაშვილი.**

2011 წლის 14 მარტს გაეროს 55-ე სესიაზე ქალთა მდგომარეობის განმსაზღვრელ კომისიაზე მოსმენილი იქნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამი იყო ქალებისა და გოგონების შესაძლებლობაზე განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებში მათ პროფესიონალური მომზადებისა და დასაქმების შესახებ.

2015 წლის 22 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად 11თებერვალი გამოცხადდა მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღედ.

ამ დღესთან დაკავშირებით, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიმემ, აგრარულ მეცნიერებაში მიღწეული

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს მეცნიერ ქალბატონებს „მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღეს“, უსურვებს წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო საქმიანობაში.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების გაერთიანებული სხდომა

2017 წლის 09 მარტს ჩატარდა აკადემიის ეკონომიკის (აკადემიკოს მდივანი აკად. ო. ქეშელაშვილი) და სურსათის უვნებლობის (აკადემიკოს მდივანი აკად. ზ.ცქიტიშვილი) სამეცნიერო განყოფილებების გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო განყოფილებების წევრები, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ. ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკად. ე. შაფაქიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე აკად.რ.ასათიანი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე ნ.ხატიაშვილი და ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის თანამშრომლები, სურსათის სააგენტოს წარმომადგენლები, აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტები.

სხდომამ განიხილა ერთი საკითხი "საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები,ტენდენციები და პერსპექტივები", მომხსენებელი აკად. ნოდარ ჭითანავა.

მომხსენებელმა ძალზე საინტერესოდ და მაღალ მეცნიერულ დონეზე ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, მიმოიხილა ძირითადად ის პროცესები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს ეხება სასურსათო უზრუნველყოფის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით; ისაუბრა ინვესტიციებზე სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და ცხოვრებაში მათ განხორციელებაზე და ა.შ. მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა განხილულ საკითხების განხორციელებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, როგორც მთავრობის მეცნიერული მრჩევლის და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის როლი და მომავალი საქმიანობა.

დღის წესრიგის ირგვლივ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ ნ.ხატიაშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა შ. ჩხეიძემ, აკად. პ. კოღუაშვილმა, სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა აკად. ზ. ცქიტიშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, აკად. რ. ასათიანმა.

სამეცნიერო განყოფილებების გაერთიანებული სხდომის მუშაობა შეაჯამა და შეაფასა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გივი ჯაფარიძემ.

საერთაშორისო კონფერენცია ვინიცის (უკრაინა) ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში

ვინიცის (უკრაინა) ეროვნულმა აგრარულმა უნივერსიტეტმა **29-30 მარტს** უმასპინძლა მე-IX საერთაშოროსო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას "მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის, უვნებლობის, წარმოებისა და გადამუშავების ამაღლების თანამედროვე პრობლემები".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო მეცხოველეობის ხარისხიანი და უვნებელი პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული გამოცდილების განვრცობა-გაზიარება, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება და საწარმოო და გადამამუშავებელი წარმოებების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლი გზების ძიება. კონფერენციაზე მუშაობდა ოთხი სექცია: კლასიკური და ალტერნატიული ტექნო-

ლოგიები მეცხოველეობაში; ინოვაციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და აკვაკულტურის კვებაში; სამეცნიერო კვლევების მდგომარეობა და პერსპექტივები ცხოველთა სელექციაში, გამრავლებასა და ჰიგიენაში; ინოვაციური საკვები პროდუქტების და ნედლეულის ფორმირება, ხარისხისა და უვნებლობის კონტროლი.

კონფერენცია გახსნა ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის პრეზიდენტმა გრიგორი კალეტნიკმა. კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორმა ვიქტორ მაზურმა, პრორექტორმა ალექსანდრე იარემჩუკმა.

საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები მოლდოვადან, საქართველოდან, ბელორუსიდან, ასევე უკრაინის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან და უნივერსიტეტებიდან. პლენარულ სხდომაზე და ოთხ სექციაში მოსმენილი იქნა სულ 142 სამეცნიერო მოხსენება.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ფაკულტეტის დეკანმა ოქსანა სკორომნამ. მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

მარცხნიდან: გრიგორი კალეტნიკი - ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის პრეზიდენტი; ანატოლი გიორგაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე; ვიქტორ მაზური - ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის რექტორი

* * *

პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 13 საკითხი. მათ შორის:

* **აკადემიის 2016 წლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ.**
მომხსენებელი: აკადემიის მთავარი ბუღალტერი ნინო სოზიაშვილი;

• **საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2016 წლის საქმიანობის წლიური ანგარიშის მომზადებისა და გამოცემის შესახებ.**
მომხსენებლები: ***აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე; აკადემიის ვიცე–პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ.ჯაფარიძე.***

• **აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში 2016 წელს გაწეული მუშაობისა და 2017 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.**
მომხსენებელი: *აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.*

* საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსის **აგრარულ დარგში 2016 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომებისათვის პრემიების მინიჭების შესახებ.**
მომხსენებლები: *აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;*
აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი*

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.